ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28
2023 წლის 22 დეკემბერი

ქ. ვანი

,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, საქართველოს კანონის ,,თავდაცვის კოდექსი“ 57-ე, 180-ე, 185-ე მუხლების, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №29 დადგენილების (www.matsne.gov.ge., 20.11.2017 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.121016257) დანართში – ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება – შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) დანართის მე-10 მუხლის მეოთხე პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) დანართის მე-11 მუხლის მე-9 პუნქტი ამოღებული იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**